



## ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

ენერჯეტიკა  
 2022 წლის 10 თვის შეჯამება  
 8 დეკემბერი 2022

### მნიშვნელოვანი საიახლეები

მთავრობამ ინვესტორებთან წარადგინა განახლებადი ენერჯის პროექტების მხარდაჭერის ახალი სქემა - სიმძლავრის აუქციონის საფუძველზე გაცემული ფასთა შორის სხვაობის კონტრაქტი (CFD). სქემა შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტებში, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის აისახება. პირველი აუქციონის ჩატარებაც წლის ბოლოსთვისაა დაგეგმილი. მთავრობის მიერ ინვესტორებთან პრეზენტაციისას გამჟღავნებული აუქციონის ძირითადი პირობები შემდეგ გვერდზეა აღწერილი.

**ევა ბოჭორიშვილი**  
 კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი  
 evabochorishvili@gt.ge  
 +995 322 401 111 ext.8036

**მარიამ ჩახვაშვილი**  
 უფროსი ასოცირებული მკვლევარი  
 mchakhvashvili@gt.ge  
 +995 322 401 111 ext.7897

**2022 წლის 10 თვეში ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 5.3%-ით გაიზარდა და 11.8 ტვტ.სთ შეადგინა.** ამის გარდა, ელექტროენერჯის ექსპორტიც გაიზარდა 2.5-ჯერ 1.0 ტვტ.სთ-მდე. გაზრდილი მოთხოვნა (ადგილობრივი მოხმარება + ექსპორტი) ძირითადად დაკმაყოფილდა ჰიდრო და თბოგენერაციის ზრდით. ჰიდროსადგურების გენერაციის ზრდა კარგ ჰიდროლოგიას და წინა წლის დაბალ ბაზას უკავშირდება (2021 წლის დასაწყისში ენგურის რემონტი მიმდინარეობდა), ხოლო თბოსადგურების ადეკვატურ ფასად და მოცულობით მუშაობა სოციალურ გაზზე ხელმისაწვდომობის გამო იყო შესაძლებელი.

**2022 წლის 10 თვეში ელექტროენერჯის ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა რეკორდული 84.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.** ამავე პერიოდში ელექტროენერჯის იმპორტმა 40.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, სავაჭრო ბალანსმა დადებით 43.6 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. ერთი მხრივ, ენერჯეტიკულმა კრიზისმა და მსოფლიოში ენერგომატარებლებზე გაზრდილმა ფასებმა გავლენა მოახდინა ჩვენს მთავარ საექსპორტო ქვეყანა თურქეთზე, სადაც ფასები გასამმაგდა. მეორე მხრივ, საქართველოში ელექტროენერჯის ფასები ბევრად ნაკლებად გაიზარდა, ვიდრე ექსპორტის. ამის მთავარი მიზეზი არის ელექტროენერჯის მიწოდებაში ჰიდროგენერაციის მაღალი წილი და იმპორტის ფასების შედარებით ზომიერი ზრდა. იმპორტის მთავარი მომწოდებელი ქვეყნები - რუსეთი და აზერბაიჯანი - მსოფლიო ბაზარზე თავად არიან ფასის მკარნახებლები და საქართველოს შემთხვევაშიც, თავად განსაზღვრავენ მოწოდების ფასს. ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულმა კომპანიებმა ისარგებლეს მსოფლიო ენერჯეტიკული კრიზისით.

**ორგანიზებული ბაზრების ამოქმედება კიდევ ერთხელ გადაიდო 2023 წლის 31 მარტამდე.** დღით ადრე და საბალანსო და სისტემური სერვისების ბაზრის ამოქმედება 2022 წლის 1 სექტემბერს იყო დაგეგმილი, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, აგვისტოს ბოლოსკენ მთავრობამ ამ ბაზრების ამოქმედება კიდევ რამდენიმე თვით გადადო. ოფიციალურ მიზეზად მთავრობის მხრიდან დასახელდა მსოფლიოში მიმდინარე ენერჯეტიკული კრიზისი და შიში იმისა, რომ ბაზრის გახსნის შედეგად ფასები საქართველოშიც გაიზარდებოდა. დამატებითი მიზეზი ბაზრის მონაწილეების მზაობა და სისტემური სერვისებისა და საბალანსო ბაზრის ტექნიკური გაუმართაობა იყო. ბაზრის სამომავლო სტრუქტურის დეტალები ნელ-ნელა იკვებება და რაც დრო გადის, ბევრ კითხვას გაეცა პასუხი, თუმცა რიგი საკითხებისა მაინც ღია რჩება. მაგალითად, პირდაპირ ივაჭრებენ თუ არა იმპორტიორები და თბოსადგურები ბაზარზე და რა ფასად, ზუსტად რა დამატებით ხარჯებს გამოიწვევს ბაზრების გახსნა, იქნება თუ არა უბალანსობის მიმართ საპატიო ზღვრები და ა.შ.



**ინვესტიციების წახალისების ახალი სქემა -  
სიმძლავრის აუქციონები და ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულება**

მთავრობამ წარადგინა განახლებადი ენერჯის პროექტების მხარდაჭერის ახალი სქემა - სიმძლავრის აუქციონის საფუძველზე გაცემული ფასთა შორის სხვაობის კონტრაქტი (CFD). სქემა სავარაუდოდ წლის ბოლოსთვის შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტებშიც აისახება. პირველი აუქციონის ჩატარებაც წლის ბოლოსთვისაა დაგეგმილი. აუქციონის ძირითადი პირობები ასეთია:

- მთავრობა პერიოდულად გამოაცხადებს აუქციონს გარკვეულ სიმძლავრეზე, სადაც მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული ინვესტორები. მონაწილეობის წინაპირობა იქნება წინასწარ ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევა, აუქციონში მონაწილეობის მიღების საფასური და საბანკო გარანტია.
- აუქციონში გამარჯვებულები დადებენ ფასთა შორის სხვაობის ხელშეკრულებას (CFD) მთავრობასთან (და ესკოსთან), რომლის ხანგრძლივობაც იქნება ელექტროსადგურის ექსპლუატაციის საწყისი 15 წელი.
- CFD-ის ფასი არის აუქციონის პროცესში ინვესტორის შერჩევის მთავარი კრიტერიუმი - ყველაზე დაბალი ფასის შეთავაზების მქონე სადგურები პირველ რიგში შეავსებენ გამოცხადებულ სიმძლავრეს.
- ფასთაშორისი სხვაობის ანაზღაურებისთვის ინვესტორებმა ელექტროენერჯია უნდა გაყიდონ ორგანიზებულ ბაზრებზე (დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე), ხოლო ესკო მათ აუნაზღაურებს ნებისმიერ სხვაობას საბაზრო ფასსა და CFD კონტრაქტში დადგენილ ფასებს შორის.
- მზის ენერჯიაზე მომუშავე სადგურების შემთხვევაში CFD იმოქმედებს მთელი წლის განმავლობაში გაყიდულ ენერჯიაზე. ჰიდრო სადგურების შემთხვევაში CFD ძალაში იქნება მხოლოდ 8 თვე (სექტემბერი- აპრილი), ხოლო ქარის სადგურებისთვის 9 თვე (აგვისტო-აპრილი).
- საქართველოს მთავრობა ამ სქემით გეგმავს 1,500 მგვტ სიმძლავრის განახლებადი ენერჯის პროექტებზე აუქციონის გამოცხადებას მომდევნო სამი წლის განმავლობაში. ამ 1,500 მგვტ-ის საორიენტაციო გადანაწილება იქნება ასეთი: 950მგვტ ჰიდრო (მათ შორის 650 ბუნებრივ მოდინებაზე), 250 მგვტ ქარის, 250მგვტ მზის და 50 მგვტ სხვა განახლებად რესურსებზე მომუშავე სადგურებზე.
- პირველი აუქციონი 2022 წლის ბოლოს ან 2023 წლის დასაწყისში ჩატარდება 300 მგვტ-ზე, სადაც უკეთ გამოჩნდება ტექნოლოგიის რომელ მიმართულებაზეა მეტი მოთხოვნა ინვესტორების მხრიდან.
- ამჟამად შემოთავაზებულ სქემასა და 2017 წლამდე არსებულ გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას (PPA) შორის მთავარი განსხვავება არის მისი მინიჭების პრინციპი (სიმძლავრის აუქციონებზე დაყრდნობით), ასევე ის ფაქტი, რომ ელექტროსადგურები იღებენ უფრო მეტ საბაზრო რისკს (მაგ. უბალანსობაზე პასუხისმგებლობა, უარყოფითი ფასის რისკი და ა.შ.).



**ელექტროენერჯის მოთხოვნა, მიწოდება და ფასები**

2022 წლის იანვარ-ოქტომბრის პერიოდში ქსელში მიწოდებული ელექტროენერჯის საერთო მოცულობამ 13.3 ტვტ.სთ შეადგინა. აქედან 9.7 ტვტ.სთ (ჯამურის 73.4%) ჰესების გამომუშავება იყო, 2.2 ტვტ.სთ (ჯამურის 16.6%) თბოსადგურების, 0.07 ტვტ.სთ (0.5%) ქარის სადგურის, ხოლო 1.3 ტვტ.სთ (ჯამურის 9.5%) იყო ელექტროენერჯის იმპორტი.

ქსელში მიწოდებული 13.3 ტვტ.სთ-დან, ადგილობრივმა მოხმარებამ საბითუმო დონეზე 11.8 ტვტ.სთ (ჯამურის 88.9%) შეადგინა, 1.0 ტვტ.სთ (ჯამურის 7.3%) გავიდა ექსპორტზე, ხოლო 0.5 ტვტ.სთ (3.8%) დაიკარგა ქსელში ტრანსპორტირებისას.

**ელექტროენერჯის მოხმარება**

ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 5.4%-ით გაიზარდა და 11.8 ტვტ.სთ შეადგინა 2022 წლის 10 თვეში. ზრდა განსაკუთრებით მაღალი იყო იანვარი-მაისის პერიოდში (+11.8% წ/წ), ხოლო შედარებით გრილი ზაფხულიდან გამომდინარე მოხმარების ზრდა შენედა ივნისი-ოქტომბრის პერიოდში და წლიურად 0.3% შეადგინა. ზოგადად, წლის განმავლობაში მოხმარების ზრდა მეტწილად იურიდიულ პირებზე მოდიოდა.

აფხაზეთის რეგიონის ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 4.9%-ით გაიზარდა და ქვეყნის ჯამური მოხმარების 21.1% შეადგინა. აფხაზეთის რეგიონის გამოკლებით, დანარჩენი საქართველოს მოხმარება წლიურად 5.5%-ით გაიზარდა 9.3 ტვტ.სთ-მდე.


სხვადასხვა ჯგუფებს შორის მოხმარების გადანაწილებაზე დიდი გავლენა იქონია პირდაპირი მოხმარებლების რაოდენობის ზრდამ. სექტემბრის ბოლოსთვის საბითუმო ბაზარზე ელექტროენერჯია შეისყიდა 55-მა პირდაპირმა მოხმარებელმა. ამ 55-დან უმეტესობა იძულებს წესით დარეგისტრირდა პირდაპირ მოხმარებლად, ხოლო ძალიან მცირე ნაწილი ნებაყოფლობით, ელექტროენერჯის საფასური ოპტიმიზების იმედად.

ცხრილი 1: მოხმარება 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში

მოხმარებელი	წლიური ზრდა	წილი ჯამურ მოხმარებაში
<b>შიდა მოხმარება</b>	<b>+5.4%</b>	<b>100%</b>
აფხაზეთის რეგიონი	+4.9%	21.1%
პირდაპირი მოხმარებლები	+11.8%	27.1%
საცალო მოხმარებელი	+2.5%	51.8%
ენერჯო-პრო ჯორჯია და ეპ ჯორჯია მიწოდება თელასი და თელმიკო	-0.6%	30.8%
	+7.4%	20.9%


წყარო: ესკო, სსე, გალტ & თაგარტი  
შენიშვნა: ეპ ჯორჯია და თელმიკო დაფუძნდნენ 2021 წლის ივნისში და ემსახურებიან შესაბამისად ენერჯო-პრო ჯორჯიას და თელასის ყოფილ აბონენტებს. ცვლილება გამოწვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნებით

გრაფიკი 1: ელექტროენერჯის მოხმარება, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, სსე, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 2: ელექტროენერჯის მოხმარება საბითუმო მოხმარებლების მიხედვით, ტვტ.სთ




წყარო: ესკო, სსე, გალტ & თაგარტი  
შენიშვნა: საცალო მოხმარებაში შედის თელასის, ენერჯო-პრო ჯორჯიას, თელმიკოს და ეპ ჯორჯია მიწოდების ელექტროენერჯის ჯამური მოხმარება.




**ელექტროენერჯის ექსპორტი და ტრანზიტი**

ელექტროენერჯის ფასი თურქულ ბაზარზე თითქმის გასამმაგდა. 2022 წლის 10 თვეში ელექტროენერჯის ფასმა თურქულ ბაზარზე კვტ.სთ-ზე საშუალოდ 14.1 აშშ ცენტი შეადგინა. შედარებისთვის, 2021 წლის 10 თვეში საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 5.1 აშშ ცენტს შეადგენდა. ყველაზე მაღალი საბაზრო ფასი დაფიქსირდა 2022 სექტემბერში - კვტ.სთ-ზე 21.3 აშშ ცენტი. ფასის ასეთი ზრდის მიზეზი არის მიმდინარე ენერჯეტიკული კრიზისის გამო გლობალურად გაზრდილი ბუნებრივი აირის ფასები და თურქული ბაზრის დამოკიდებულება გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურებზე. საქართველოში ფასები გაცილებით ნაკლებად გაიზარდა, ამიტომ ქართველ მწარმოებლების მხრიდან ექსპორტის მიმართ მაღალი მოთხოვნა იყო.

გრაფიკი 3: თურქეთის ბაზარზე საშუალო წლიური ფასი, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



გრაფიკი 4: თურქეთის ბაზარზე საშუალო თვიური ფასი, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: EPIAS, EVDS, გალტ & თაგარტი

წყარო: EPIAS, EVDS, გალტ & თაგარტი

საექსპორტო ფასების ზრდის გამო გაზრდილმა მოთხოვნამ გამოიწვია ექსპორტის ისტორიულ მაქსიმუმამდე ასვლა. 2022 წლის 10 თვეში, ელექტროენერჯის ექსპორტი წლიურად 153.7%-ით გაიზარდა და 1.0 ტვტ.სთ შეადგინა, ხოლო ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები წლიურად 455.4%-ით (5.6-ჯერ) გაიზარდა და 84.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის საშუალო ფასი 118.9%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 8.7 აშშ ცენტი შეადგინა.


2022 წლის 10 თვეში, თურქეთი იყო ექსპორტირებული ელექტროენერჯის ძირითადი მიმართულება და შეადგენდა ჯამური ექსპორტის მოცულობის 88.7% (0.9 ტვტ.სთ) და ექსპორტის ღირებულების ღირებულების 94.3%-ს (79.6 მლნ აშშ დოლარი). თურქეთის ბაზარზე გაზრდილი ფასების შესაბამისად, თურქეთში ელექტროენერჯის ექსპორტის საშუალო ფასი გაიზარდა 2.6-ჯერ და მიაღწია კვტ.სთ-ზე 9.2 აშშ ცენტს.

ელექტროენერჯის ექსპორტი მასში დაიწყო და სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა. სექტემბერში ელექტროენერჯის ექსპორტი ძალიან უჩვეულოა საქართველოსთვის, რადგან ბოლო რამდენიმე წელია აგვისტოც კი გამოაკლდა საექსპორტო თვეების სიას გაზრდილი ადგილობრივი მოხმარების გამო. ეკონომიკის სამინისტრომ 2022 წლის მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის დაგეგმვისას გაითვალისწინა ექსპორტის მიმართ დიდი ინტერესი და მაღალი შემოსავლის მიღების პოტენციალი და ენგურის და თბოსადგურების მუშაობის გრაფიკი ისე დაგეგმა, რომ ექსპორტის განხორციელება შესაძლებელი ყოფილიყო მასიდან სექტემბრის ჩათვლით პერიოდში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედ თბოსადგურებზე მსოფლიოში გაზის ფასის ზრდას გავლენა არ მოუხდენია, რადგან ისინი




იყენებენ ე.წ. „სოციალურ გაზს“, რომელსაც საქართველო იღებს ბუნებრივი აირის სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მეშვეობით აზერბაიჯანიდან თურქეთში გატარების საფასურად. სოციალური გაზი მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება საქართველოს მხარეს და შესაბამისად, შეზღუდულია თბოსადგურების მიერ მათი მოხმარებაც. სწორედ ამ შეზღუდვის გამო ვერ გაგრძელდა ექსპორტი ოქტომბერშიც.

გრაფიკი 5: ელექტროენერჯის ექსპორტი, გვტ.სთ



წყარო: ესკო, სსე, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 6: ექსპორტის ღირებულება და საშუალო ფასი



წყარო: ესკო, სსე, საქსტატი, EPIAS, გალტ & თაგარტი

**2022 წლის 10 თვეში ელექტროენერჯის ტრანზიტი 2.9-ჯერ გაიზარდა და 2.1 ტვტ.სთ შეადგინა.** ეს ზრდა თურქეთის ბაზარზე გაზრდილ ფასებს უკავშირდება. ტრანზიტის 96.1% სწორედ თურქეთის მიმართულებით განხორციელდა, აქედან 83.5% პროცენტული პუნქტი აზერბაიჯანიდან და 12.6% რუსეთიდან. ტრანზიტის დანარჩენი 3.9% რუსეთიდან სომხეთში გავიდა. აღსანიშნავია, რომ ტრანზიტი საკმაოდ მგრძობიარეა თურქეთის ბაზარზე ელექტროენერჯის ფასების მიმართ: 2020 წლის აგვისტოდან 2021 წლის ივნისამდე ტრანზიტი არ განხორციელებულა თურქეთის ბაზარზე დაბალი ფასების გამო, ხოლო 2021 წლის მეორე ნახევარში თურქეთში ფასების ზრდასთან ერთად აღდგა და გაიზარდა ტრანზიტის მოცულობაც.



**ელექტროენერჯის გენერაცია და იმპორტი**


გაზრდილი მოთხოვნა (ადგილობრივი მოხმარება + ექსპორტი) ძირითადად დაკმაყოფილდა ჰიდრო და თბოგენერაციის ზრდით. ჰიდროგენერაციის 11.2%-იანი წლიური ზრდა კარგ ჰიდროლოგიას და წინა წლის დაბალ ბაზას უკავშირდება (2021 წლის დასაწყისში ენგურის რემონტი მიმდინარეობდა).

**თბოსადგურების** გამომუშავება წლიურად 52.2%-ით გაიზარდა, ხოლო ელექტროენერჯის იმპორტი 26.9%-ით შემცირდა. ეს გადასვლა ელექტროენერჯის იმპორტიდან თბოგენერაციაზე (რომელიც მუშაობს იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე) აიხსნება შემდეგი გარემოებებით:

1) ფასის სხვაობა იმპორტსა და თბოგენერაციას შორის - ელექტროენერჯის კომერციული იმპორტის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 7.0-7.8 აშშ ცენტის ფარგლებში იყო, ხოლო თბოგენერაციის ფასი მერყეობდა კვტ.სთ-ზე 3.3 აშშ ცენტსა (მაგ. გარდაბანი-1) და 4.5 აშშ ცენტამდე (მაგ. მტკვრის ენერჯია).

2) **ელექტროენერჯის ექსპორტზე გაზრდილი მოთხოვნა.** როგორც ზემოთ აღვწერეთ, ელექტროენერჯის ექსპორტის საშუალო ფასმა კვტ.სთ-ზე 8.7 აშშ ცენტი შეადგინა, რამაც გაზარდა ელექტროენერჯის ექსპორტზე მოთხოვნა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ელექტროენერჯის ექსპორტი და იმპორტი ერთდროულად ვერ განხორციელდება, ამიტომ ელექტროენერჯის ექსპორტის განსახორციელებლად ელექტროენერჯის მოთხოვნას (ადგილობრივი მოხმარება პლუს ექსპორტი) და ჰიდროგენერაციას შორის დეფიციტი თბოგენერაციით შეივსო.

გრაფიკი 7: ელექტროენერჯის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, სსე, გალტ & თაგარტი

ცხრილი 2: მიწოდება 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში

მიწოდება	წლიური ზრდა 2020	წლიური ზრდა 1თ21
<b>ჯამური მიწოდება</b>	+10.6%	100.0%
იმპორტი	-26.9%	9.5%
ადგილობრივი გენერაცია	+16.9%	90.5%
თბოსადგურები	+52.2%	16.6%
ქარის სადგურები	+.8%	0.5%
ჰესები	+11.2%	73.4%
ენგური- ვარდნილი	+12.1%	31.7%
სხვა რეგ. ჰესები	+5.7%	18.7%
დერეგულირებული ჰესები	+14.7%	22.9%


წყარო: ესკო, სსე, გალტ & თაგარტი



**2022 წლის 10 თვეში, ელექტროენერჯის იმპორტმა ჯამური მიწოდების 9.5% და 1.3 ტგტ.სთ შეადგინა.** იმპორტის 78.8% რუსეთიდან განხორციელდა (უმეტესად აფხაზეთის რეგიონისთვის), 10.3% აზერბაიჯანიდან და 11.0% სომხეთიდან. აფხაზეთის რეგიონმა საქართველოში შემოტანილი ელექტროენერჯის ნახევარი მოიხმარა. ამ ელექტროენერჯის რუსეთი გვაწვდის „სპეციალურ“ ფასად (რომელიც კვტ.სთ-ზე 0.5 აშშ ცენტზე ნაკლებია). ეს სპეციალური ფასი მნიშვნელოვნად ამცირებს იმპორტი საშუალო შეწონილ ფასს - 2022 წლის 10 თვეში იმპორტის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 3.2 აშშ ცენტს შეადგენდა. ელექტროენერჯის იმპორტის კომერციული ფასი ბევრად მაღალია:


- აზერბაიჯანიდან ელექტროენერჯის იმპორტის ფასი წლიურად 62.0%-ით გაიზარდა და საშუალოდ კვტ.სთ-ზე 7.5 აშშ ცენტი შეადგინა
- სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერჯის საშუალო ფასმა კვტ.სთ-ზე 7.4 აშშ ცენტი შეადგინა
- რუსეთიდან ელექტროენერჯის იმპორტის ფასი კვტ.სთ-ზე შეადგენდა 7.0 აშშ ცენტს ოქტომბერში (2021 წლის ოქტომბერთან შედარებით 42.3%-ით მეტი). მნიშვნელოვანია, რომ ოქტომბერში აფხაზეთის რეგიონისთვის ელექტროენერჯის იმპორტი არ განხორციელებულა, ამიტომ ეს არის რუსეთიდან ელექტროენერჯის იმპორტის წმინდა კომერციული ფასი.

გრაფიკი 8: ელექტროენერჯის იმპორტი, ტგტ.სთ და საშუალო ფასი



წყარო: ესკო, სსე, საქსტატი, გალტ & ტაგარტი

გრაფიკი 9: ელექტროენერჯის იმპორტი 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში




წყარო: ესკო, სსე, საქსტატი, გალტ & ტაგარტი



ელექტროენერჯის სავაჭრო ბალანსმა დადებითი 40.7მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2022 წლის 10 თვეში ექსპორტიდან შემოსავალმა 84.3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო იმპორტის ხარჯი 40.7მლნ აშშ დოლარი იყო. ელექტროენერჯის ექსპორტის ზრდა ზემოთ აღწერილ თურქეთის საბაზრო ფასის ზრდას უკავშირდება, ხოლო იმპორტის ფასის ზრდა არ იყო ისეთივე მნიშვნელოვანი.


საქართველო კვლავაც რჩება ელექტროენერჯის წმინდა იმპორტიორ ქვეყანად, მიუხედავად თანხაში გამოსახული დადებითი სავაჭრო ბალანსისა. 2022 წლის 10 თვეში, ელექტროენერჯის იმპორტის მოცულობამ 1.3 ტვტ.სთ შეადგინა, ხოლო ექსპორტზე გავიდა 1.0 ტვტ.სთ, შედეგად წმინდა იმპორტმა 0.3 ტვტ.სთ შეადგინა. წმინდა იმპორტის მოცულობა, სავარაუდოდ, უფრო მეტად გაიზარდება წლის ბოლომდე. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ელექტროენერჯის წლიური ბალანსი იმპორტის შემდგომ ზრდას პროგნოზირებს 2.3ტვტ.სთ-მდე. შედეგად, წმინდა იმპორტი 1.3ტვტ.სთ-მდე გაიზარდება.

გრაფიკი 10: ელექტროენერჯის იმპორტი და ექსპორტი



წყარო: ესკო, სსე, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 11: სავაჭრო ბალანსი, მლნ აშშ დოლარი



წყარო: ესკო, სსე, საქსტატი, გალტ & თაგარტი





**ელექტროენერჯის ფასები საქართველოში**


საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო გასაყიდი ფასი წლიურად 16.2%-ით გაიზარდა და 2022წ წლის 10 თვეში კვტ.სთ-ზე 5.6 აშშ ცენტი შეადგინა. თვიურ კრილში საბალანსო ელექტროენერჯის ფასი მერყეობდა კვტ.სთ-ზე 4.0-6.5 აშშ ცენტის ფარგლებში. ფასის ზრდის ძირითადი მიზეზი იმპორტის გაზრდილი ფასია.

საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობამ 2.6 ტვტ.სთ შეადგინა (-4.9% წ/წ), რაც ჯამურ მიწოდებაში 19.7% წილია. ელექტროენერჯის დანარჩენი მოცულობის ვაჭრობა ორმხრივი კონტრაქტების გზით განხორციელდა. საბალანსო ელექტროენერჯის 60.1%-ს შეადგენდა ესკოს მიერ გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით (PPA) შესყიდული ენერჯია, საიდანაც 17.8 პროცენტული პუნქტი იყო გარდაბნის N2 თბოსადგური, 40.0 პროცენტული პუნქტი ჰიდროელექტროსადგურები, ხოლო დანარჩენი 2.3პპტს ქარის ელექტროსადგური. საბალანსო ელექტროენერჯის მხოლოდ 18.5% იყო იმპორტი, ხოლო დანარჩენი 21.4% თბოსადგურებისა და ჰიდროსადგურების უკონტრაქტო ენერჯისგან დაკომპლექტდა.

საქართველომ მოახერხა ადგილობრივ ბაზარზე დაბალი ფასების შენარჩუნება, მსოფლიოში არსებული ენერჯეტიკული კრიზისისა და ფასების ზრდის მიუხედავად, რამდენიმე ფაქტორიდან გამომდინარე:

- 1) მიწოდების 70%-ზე მეტი ჰიდროგენერაციით კმაყოფილდება, მისი თვითღირებულება კი არაა დამოკიდებული გარე ფაქტორებზე
- 2) თბოსადგურები საქართველოში იყენებენ ე.წ. სოციალურ გაზს, რომლის ფასიც დაფიქსირებულია გრძელვადიანი ხელშეკრულებით და არ იცვლება მსოფლიო ტენდენციებთან ერთად
- 3) ელექტროენერჯეტიკული ბაზარი მეტწილად რეგულირებულია და საბაზრო ფაქტორები ნაკლებ გავლენას ახდენენ მთელი სექტორის საშუალო ფასზე.

გრაფიკი 12: საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობა და გასაყიდი ფასები



წყარო: ესკო, სსე, საქსტატი, სეზი, გალტ & თავარიტი



**ცხრილი 3: ელექტროენერჯის ბალანსი, გვტ.სთ**

	2021	იან-22	თებ-22	მარ-22	აპრ-22	მაი-22	ივნ-22	ივლ-22	აგვ-22	სექ-22	ოქტ-22	10თ22
<b>სულ შიდა მოხმარება</b>	<b>13,730</b>	<b>1,372</b>	<b>1,199</b>	<b>1,349</b>	<b>1,154</b>	<b>1,152</b>	<b>1,080</b>	<b>1,145</b>	<b>1,205</b>	<b>1,048</b>	<b>1,076</b>	<b>11,781</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+13.1%	+16.3%	+12.5%	+10.3%	+10.3%	+9.4%	-0.8%	-1.2%	+3.7%	-0.8%	-6.2%	+5.4%
მათ შორის:												
- აფხაზეთის რეგიონი	<b>2,956</b>	359	300	329	264	253	184	197	206	183	214	<b>2,488</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+15.8%	+13%	+8%	+1%	+12%	+14%	-11%	+8%	+10%	-2%	-8%	+4.9%
- პირდაპირი მომხმარებლები	<b>3,554</b>	332	306	350	344	350	324	314	296	285	292	<b>3,193</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+45.8%	+46%	+46%	+42%	+38%	+24%	+12%	-8%	-11%	-15%	-16%	+11.8%
- საცალო მოხმარება*	<b>7,219</b>	682	594	670	545	549	572	634	703	581	570	<b>6,100</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+1.0%	+7%	+2%	+3%	-3%	+0%	-4%	-0%	+9%	+8%	+0%	+2.5%
მათ შორის:												
- ენერგო-პრო ჯორჯია და ეპ ჯორჯია მიწოდება*	<b>4,400</b>	399	347	389	329	332	336	375	433	351	344	<b>3,634</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-2.5%	+1%	-2%	-2%	-7%	-5%	-7%	-2%	+11%	+6%	+0%	-0.6%
- თელასი და თელმიკო*	<b>2,819</b>	283	247	281	217	217	236	259	270	230	226	<b>2,466</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+7.0%	+16%	+10%	+10%	+4.4%	+10%	+2%	+2.2%	+7.6%	+11.6%	-0.2%	+7.4%
<b>სულ გენერაცია</b>	<b>12,645</b>	<b>1,025</b>	<b>890</b>	<b>1,077</b>	<b>1,125</b>	<b>1,461</b>	<b>1,485</b>	<b>1,308</b>	<b>1,401</b>	<b>1,182</b>	<b>1,034</b>	<b>11,999</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+13.3%	+27%	+29%	+63%	+36%	+20%	+12%	+5%	+16%	+7%	-13%	+16.9%
მათ შორის:												
თბოსადგურები	<b>2,380</b>	508	444	499	35	-	3	3	238	304	154	<b>2,200</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-15.6%	+49%	+34%	+182%	-46%	NM	NM	-31%	+38%	+108%	-25%	+52.2%
ქარის სადგურები	<b>83</b>	7	5	7	6	8	6	8	9	8	8	<b>73</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	-8.2%	+30%	-7%	-20%	-6%	-9%	-23%	+23%	+71%	+7%	-17%	+0.8%
ჰიდროსადგურები	<b>10,182</b>	510	441	571	1,084	1,453	1,475	1,297	1,153	869	872	<b>9,726</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+23.4%	11%	24%	20%	44%	20%	12%	5.5%	12.6%	-8%	-11%	+11.2%
<b>იმპორტი</b>	<b>2,006</b>	<b>406</b>	<b>357</b>	<b>331</b>	<b>71</b>	<b>9</b>	<b>1</b>	<b>0</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>86</b>	<b>1,260</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+24.6%	-2%	-14%	-46%	-73%	+119%	-87%	-56.1%	-100%	-100%	+917%	-26.9%
<b>ექსპორტი</b>	<b>391</b>	<b>3</b>	<b>-</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>269</b>	<b>351</b>	<b>115</b>	<b>140</b>	<b>94</b>	<b>-</b>	<b>971</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+154%	+142%	N/A	N/A	N/A	+105%	+80%	+206%	N/A	NM	N/A	+153.7%
<b>სავაჭრო ბალანსი</b>	<b>(1,615)</b>	<b>(404)</b>	<b>(357)</b>	<b>(331)</b>	<b>(70)</b>	<b>260</b>	<b>351</b>	<b>114</b>	<b>140</b>	<b>94</b>	<b>(86)</b>	<b>(289)</b>
<b>ტრანზიტით</b>	<b>1,184</b>	<b>186</b>	<b>168</b>	<b>124</b>	<b>139</b>	<b>-</b>	<b>92</b>	<b>334</b>	<b>354</b>	<b>393</b>	<b>352</b>	<b>2,140</b>
%-ლი ცვლილება, წ/წ	+481%	+2816%	N/A	N/A	N/A	N/A	+417%	+457%	+62%	+99%	+22%	+191.9%

წყარო: ესკო, ელექტროსისტემა (ესე), გალტ & თაგარტი

\* ეპ ჯორჯია და თელმიკო დაფუძნდნენ 2021 წლის ივნისში და ემსახურებიან შესაბამისად ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის ყოფილ აბონენტებს. ცვლილება გამოწვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნებით. საცალო მოხმარებაში შედის როგორც თელასის და ენერგო-პრო ჯორჯიას, ასევე თელმიკოს და ეპ ჯორჯია მიწოდების ჯამური ელექტროენერჯის მოხმარება.



## მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძვლს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაში ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზარებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზარებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატული ან ნაგულსხმევით, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიმართ. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი მიზანრის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ან დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულსხმევით ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მსაზმე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთლისინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მსაზმე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ. მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულსხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შეიძლება, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გაელენა მთავარი ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის მიმოქცევაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი**  
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

**ეკონომისტი**  
ლამა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

**ანალიტიკური განყოფილების უფროსი**  
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

**სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი**  
ზაზანა შენგელია | bshengelia@gt.ge

**უფროსი ასოცირებული მკვლევარი**  
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

**უფროსი ასოცირებული მკვლევარი**  
კახაბერ სამკურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
ნინო პერანიძე | nperanidze@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
გიგა ნოზაძე | gnozadze@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
გიორგი ცქიტიშვილი | gskitishvili@gt.ge

**გალტ ენდ თაგარტი**  
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო  
ტელ: + (995) 32 2401 111  
ელ. ფოსტა: research@gt.ge